



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL

ოქმი № 7

„ 21 „ 11 2018წ.

დადგენილება № 35

„სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მასწავლებლისა და მოწვეული სპეციალისტის სააუდიტორიო დატვირთვის ზღვრული ოდენობების დამტკიცების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 24 თებერვლის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ო“ ქვეპუნქტისა და „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მასწავლებლისა და მოწვეული სპეციალისტის სააუდიტორიო დატვირთვის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის შესახებ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 04 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 31 ოქტომბრის N69 დადგენილების თანახმად,

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

- შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მასწავლებლისა და მოწვეული სპეციალისტის სააუდიტორიო დატვირთვის ზღვრული ოდენობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 24 თებერვლის N6 დადგენილებაში და დადგენილების მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 „4. აკადემიური პერსონალის მიერ (გარდა ამ დადგენილების მე-2 პუნქტით განსაზღვრული აკადემიური პერსონალისა) სავალდებულო მინიმალური სააუდიტორიო დატვირთვის ზემოთ საკონტაქტო საათების ჩატარება დასაშვებია კვირაში არაუმეტეს 3 საათისა, ხოლო მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამატებით არაუმეტეს 6 საათისა, რაც ანაზღაურდება საათობრივი ანაზღაურების წესით.“
- დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე, ჩაბარდეს ყველა ფაკულტეტს და შესაბამის სამსახურებს.
- დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზღვიანის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს
 სპიკერი, პროფესორი

ლაერენტი ჩიბურდანიძე